ძალიან გაუკვირდა ჩემი პასუხი, გადახედა გოგლიძეს და ცოტა დაფიქრების შემდეგ მითხრა — ეტყობა, ჩემი გულწრფელობა ეამა — „**პარზი, ჭაბა-გეგინათი, მხალათაჟისუფალინათი**“.

და კაბინეტიდან გამოვედი. მკითხველი მიხვდება, რა საშინელი სულისკვეთებით ვიყავი ყოველივე იმის შემდეგ, რაც ამ ორი საათის განმავლობაში გადავიტანე და გავიგე. დავრეკე სახლში, მალე მოვალ-მეთქი და გამოვედი შენობიდან. სახლში წასვლა არ შემეძლო. მინდოდა მარტო ყოფნა. არ ვიცო, როგორ ამოვეყავი თავი მთაწმინდაზე. ჩამოვჯექი კიბეზე: ახმეტელი, ჩემი ცხოვრება, თეატრში მომხდარი ამბები, ჩემი „ამხანაგების“ ჩვენებანი — ყველაფერი აირია თავში. სხალ იმ ხალხს, რომელმაც მოინდომა ჩემი დაღუპვა, უნდა შევხვდე, მათთან უნდა ვიმუშაო. ვის ვენდო, ვის ვეამხანაგო, განა შეიძლება უამხანაგოდ ყოფნა? როგორ, მეყოფა კი ძალა, თავი შევიკავო. კრიტიკულად გადავხედე ჩემს ცხოვრებას: ბავშვობას, მოწაფეობას, სტუდენტობას, მსახიობობას — ხალხთან დამოკიდებულებას... რა ჩავიდინე ისეთი, რომ ვინმეს ჩემზე გული ჰქონდა ნატკენი და ასე გავენი-რე. ვიყავი ყოველთვის გულწრფელი, ვცდილობდი, მუდამ პრინციპული ვყოფილიყავი, ამხანაგებს თითქოს ვუყვარდი და პატივს მცემდნენ, არასოდეს ნაბიჯი ანგარების მიზნით არ გადამიდგამს, ვცდილობდი, მემსახურა ერისა და მშრომელთა ინტერესებისათვის, თვითონ მშრომელის ოჯახიდან წარმოშობილს ყოველთვის მეტავრებოდა და ვერ

ვითანდი ფუქსავატობას, უპრინციპობას, მლიქვნელობას, შეიძლება, ძალზე პირდაპირი ვიყავი, მძულდა კაცი არა თავისი სიტყვის პატრონი და რა მოხდა ისეთი, რომ ამდენი მტერი გამომიჩნდა მსახიობთა წრეში... მაშინ ამ კითხვაზე სრული პასუხის გაცემა ვერ შევძელი... აი, ახლაც რომ ვწერ იმ დამით განცდილს, ვლელავ. ობიექტური მკითხველი გამიგებს ჩემ აფორიაქებულ სულიერ მდგომარეობას...

თავს დამათენდა. სახლში დავბრუნდი. მეუღლისათვის არა მითქვამს რა, მასაც მთელი ღამე არ უძინია. ძალიან ცუდი დრო იყო და სახლიდან გასულ კაცს, ვინ იცის, რა შეემთხვეოდა...

ვიცი, ვასაძეც იყო გამომძახებელი ბერიასთან (თვითონ მითხრა) და ზოგი სხვებიც, მაგრამ ვინ იცენ, არ ვიცი. ან რა საუბარი ჰქონდათ, არც ეს ვიცი.

მინდოდა, ყველასთან ოფიციალურად დამეკავებინა თავი, მაგრამ როგორ შეიძლება, ხალხს ხედებოდე, ერთად მუშაობდე და მარტოობას გრძნობდე, ადამიანური ურთიერთობა არ გქონდეს ხალხთან, არ ამყარებდე მეგობრულ, ამხანაგურ ურთიერთობას — ასე ცხოვრება ხომ შეუძლებელია. ყველასი გემინოდეს, ყველას ერიდებოდე, სულ ფიქრობდე, საიდან მოგელის მოულოდნელი თავდასხმა — ასე ხომ შეიძლება, კაცი ჭკუიდან შეცდეს. ასეთი დრო იყო მაშინ.

წინა ეპიზოდების დანერის დროს ერთი აზრი თანმდევს და ჯერ ეს აზრი უნდა განვმარტო.

მკითხველი იტყვის უთუოდ: „რა, ეს ხორავა, მოდგა ყველას, აკრიტიკებს, რაღაც წვრილმანებზე ლაპარაკობს, ისეთ წვრილმანებზე, რომლებსაც ნიჭიერებისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. კარგი, იყვნენ, ვთქვათ, ინ-

ტრიგანები, მსახიობთა წრეში ეს ხომ ჩვეულებრივი მოვლენაა, სამაგიეროდ, იყვნენ კარგი მსახიობები და ბევრ შემთხვევაში ასახელებს ქართული თეატრი, რა საჭიროა წარსულის მოგონება, რაც იყო, ვიფიქროთ ქართული თეატრის მომავალზე“.

შეიძლება, მკითხველის აზრი მართალი იყოს მხოლოდ რევოლუციამდელი თეატრის მუშაკთათვის, როდესაც მსახიობი თუ რეჟისორი მაშინდელ სოციალურ-პოლიტიკური წყობის პირობებში ფასდებოდა მხოლოდ ნიჭიერებით და არა მისი ადამიანური თვისებებით. განა ცოტა ვიცით მაგალითები წარსულიდან, თუ როგორი გარყვნილი და უკადრისი საქციელით ხასიათდებოდა ბევრი კარგი მსახიობიც. მეფის რუსეთისა და მენშევიკების დროს მსახიობი იყო უფლებო, შეიძლება ითქვას, მოქალაქეობრივი კონტროლის გარეშე იდგა. მას არავინ ეკითხებოდა ქვეყნის ბედ-იღბალზე, მსახიობი საჭირო იყო იმდენად, რამდენად თეატრის რეპერტუარის კარგი განმხორციელებელი იყო. მართალია, იყვნენ ქართველი მსახიობები დიდი მოქალაქე-პატრიოტები (გუნია, მესხიშვილი, დადიანი, აბაშიძე და ბევრი სხვა), მაგრამ ესენი გამონაკლისები იყვნენ — უმრავლესობა ლუკმის მაძებარი იყო და ამ ლუკმის ძებნაში ხშირად ადამიანურ ღირსებებს კარგავდნენ ხოლმე. ქართული თეატრის დრომოჭმულმა ტრადიციებმა, უპრინციპო დაჯგუფებებმა, რეაქციულმა იდეურობამ, განსაკუთრებით — მენშევიკების დროს, თეატრი თვითლიკვიდაცამდე მიიყვანა. ახალგაზრდობა გრძნობდა რა თეატრის ტრადიციას, გამოსავალს ეძებდა და ვერ პოულობდა. ის უიმედობამ მოიცვა. მიზეზი ამისა იყო ის, რომ მსახიობები თავის ქერქში იხარ-



**არ ვიცი, როგორ
აპოყვავი თავი
მთაწმინდაზე.
ჩამოვჯექი კიბეზე:
ახმეტელი, ჩემი
ცხოვრება, თეატრში
მომხდარი ამბები, ჩემი
ამხანაგების ჩვენებანი
ყველაფერი აირია
თავში. სხალ იმ ხალხს,
რომელმაც მოინდომა
ჩემი დაღუპვა, უნდა
შევხვდეთ. მათთან უნდა
ვიმუშაო. ვის ვენდო,
ვის ვეამხანაგო,
განა შეიძლება
უამხანაგოდ ყოფნა?**

შეზოდნენ, ხალხს იყვნენ მოწყვეტილი, მოწყვეტილი მშრომელის სულისკვეთებას, მის ბრძოლას მომავლისათვის, არ იყვნენ ჩამბული ამ ბრძოლაში, თუმცა, როგორც გვჩვენებს, ლაპარაკით რევოლუციონერობდნენ. ასე გამოდიოდა — ვიდაცები იზრდებიან და ჩვენ დავუცადოთ ამ ბრძოლის შედეგებს. თეორიულად ყველამ იცოდა, რომ თეატრი ხალხს უნდა ემსახურებოდა, და იმას კი არ ფიქრობდნენ, რომ საჭიროა ხალხთან ერთად იზრდოლო, მისი სულისკვეთებით გაიჟღინათო, გაიგო მიზნები ხალხის ბრძოლისა და შენი ნიჭიერება ამ მიზნის მიღწევას დაუმორჩილო. ე.ი. იბრძოლო იმ ახალი თეატრისათვის, რომელიც მებრძოლი მშრომელების ინტერესებს დაემორჩილება და ბრძოლაში გამარჯვების შემდეგაც განაგრძობს ბრძალს ისევე, როგორც გაიზრდებოდა ახალი ქვეყნის მშენებლობა. ფსიქოლოგიურად და იდეურად ქართული თეატრის მსახურნი საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას მოუშვებდნენ.

დასასრული.

დასაწყისი იხილეთ „სა“ №24, 25, 28-29, 30-36



**ქართული თეატრისა და კინოს პარასკევიკები —
აპაქი სორაპა, სმილია თაყაიშვილი, ვასო გოძიაშვილი,
პერიპო ანჯაფარიძე და გიგა ლორთქიფანიძე.**

ასწავლოვანთა ასეული

საქართველო მეორე მსოფლიო ომში

ქვირფასოთაანამეგობრულადდასაქართველოსდაგომგომო, მიმდინარე, 2025 წელს სრულდება მეორე მსოფლიო ომში მოკავშირეების გამარჯვების 80 წლის-თავი. ამასთან დაკავშირებით წარმოვიდგენთ პროექტს „საქართველომეორე მსოფლიო ომში“-ს წარმართადასაქართველო“. გთხოვთ გამოხმაურებას და თანადგომას.

პატივისცემით, ავტორი **გვანამაია**.

გვანამაია და მიზანი

გვანამაია, (1.09.1939-2.09.1945) ქართველი მწერალი და პოეტი, რომელიც დაიბადა 1939 წლის 9 სექტემბერს ქუთაისში. მისი შემოქმედება მოიცავს პოემებს, ლექსებს და მოთხრობებს. მისი ნაწარმოებები წარმოადგენს ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწილს.

მნიშვნელოვანია საქართველოს წვლილი ამ ომში. წინამდებარე პროექტის მიზანია სწორედ აღნიშნული წვლილის და დიდი საკუთარი უმეტესობის ახალი რაკურსით დანახვა, მსოფლიო მასშტაბით წარმოჩენა.

პროექტის არსი

და თემატიკა

პროექტი მოიცავს ქართველი მწერლების მიხედვით საქართველოში ცხოვრობდა 3 540 760 კაცი. აქედან ქვეყნის მთელი მოსახლეობის მე-სუთედი წავიდა ომში – ქართველი, აფხაზი, ოსი და საქართველოში მცხოვრები სხვა ერის წევრი, გენოციდის საუკეთესო წარმომადგენლები. საქართველოდან სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობდა სულ 700 ათასზე მეტი მეომარი, რომელთაგან მტერთან ბრძოლებში დაიღუპა დაახლოებით 300 ათასი.

დავრღობთ, დასახინჩებულთა, სულიერად ტრავმირებულთა რიცხვი იყო მეტად მეტი (იხ. ქართული საზოგადოება ენციკლოპედია, თბილისი, 1978, ტომი III, გვერდი 538, 576; ქართული ენციკლოპედია – საქართველო, თბილისი, 1981, გვერდი 33, 34, 86, 87.) ხანგასმით უნდა ითქვას, რომ ეს მსოფლიოს ქვეყნებში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით პროცენტულად ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

და ყველაფერი ეს იმ დროს, როცა საქართველოს ტერიტორიაზე საბრძოლო ოპერაციები ფაქტობრივად არ მიმდინარეობდა, თუ არ ჩავთვლით კავკასიონის უღელტეხილებისთვის (სანჯარო, მარუხი, ქლუხორი, ნაკრა, ბეჭო, მამისონი...) გამართულ ბრძოლებს და ერთადერთ აფხაზურ სოფელ ფსხუს, რომელიც მტერმა დროებით დაიკავა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას, საბჭოთა კავშირის არმიის რიცხვში 130 ათასზე მეტი ჩვენი თანამემამულე ჯარისკაცი და ოფიცერი მსახურობდა. მალე ამ ომის ფრონტებზე 700 ათასზე მეტი მეომარი იბრძოდა. მათ შორის 23 ათასი იყო ოფიცერი; 16 ათასი ქალი; 46 გენერალი და ადმირალი; 2 მარშალი. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ორთა საბრძოლო ხელოვნება, რომელთაგან შემდეგ ერთი გენერალისმუსი გახდა. 244 700 ჯარისკაცი და ოფიცერი დაჭილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. მრავალმა თანამემამულემ უცხოეთის ორდენები და მედლები დაიმსახურა. 164-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. მათ შორისაა ამ სტრუქტურების ავტორის თანასოფელი ქარისკაცი მელიტონ ქანთარია, რომელმაც

დედა-სამშობლო გვმძაზრდის!



რუს თანამებრძოლ მიხაილ ევგროვთან ერთად 1945 წლის 30 აპრილს ბერლინში რაინსტაგის გუმბათზე გამარჯვების დროს აღმართა.

მოდით, ვიყოთ უფრო გულისხმირნი: ამჟამად, ახალი დროის აგრესორთა, ომის გამაჩაღებელთა და მშვიდობის, მეგობრობისა და თავისუფლების მომავალთა ურთიერთდაპირისპირების ვითარებაში, ასლებური განწყობით შევექმნათ ილუსტრირებული სამშენოვანი ქართული-ინგლისურ-რუსული ილუსტრირებული წიგნი და მისი ელექტრონული და საგამოფენო ვერსია, რომლის გმირები იქნებიან 100 და მეტი წლის ასაკის მამულიშვილები, ომის გეტყვანები, ცოცხლები და ან გარდაცვლილები, ანუ „ასწავლოვანთა ასეული“.

აღამიანთა ბუნებრივი (ფიზიოლოგიური) სიცოცხლის ხანგრძლივობის საიდუმლოება მეცნიერებასა და ფართო საზოგადოებას ყოველთვის აინტერესებდა. სარეკორდო ასაკის – 100 და მეტი წლის მიწნევა მრავალი ათეული ათასი აღამიანიდან მხოლოდ ერთეულთა ბედი. ასეთ აღამიანებს გერონტოლოგები უხუცეს ღვგვრძელებს უწოდებენ.

ფაქტი სახეა – მეორე მსოფლიო ომის მონაწილე 700 ათასი თანამემამულიდან ამჟამად ცოცხალია 100 და მეტი წლის 60 კაცი, ბოლო წლებში გარდაცვლილია თითქმის მდენივე კაცი. სწორედ ისინი იქნებიან ახალი სამშენოვანი ილუსტრირებული წიგნისა და მისი ელექტრონული და საგამო-

ფენო ვერსიების გმირები – მეორე მსოფლიო ომის უშუალო მონაწილე და გამარჯვებისათვის აუცილებელი სამხედრო სტრატეგიული დანიშნულების საშუალებათა შემოქმედი აღამიანები, რომელთაც იცხოვრეს და იღვანეს 100 და მეტი წელი.

თითოეულ გმირს ამ სამშენოვან წიგნში დაეთმობა ერთი გვერდი. წიგნის ფორმატი – 22X30 სმ. მოცულობა იქნება 140-160 გვერდი.

პროექტის საბოლოო მიზანია წიგნის ელექტრონული ვერსიის მსოფლიო ინტერნეტ-სივრცეში განთავსება, საერთაშორისო მაშრომებზე წარდგენა, ხოლო საგამოფენო ვერსიის, ანუ 100-წლოვანთა ასეულის ყველა გმირის პორტრეტის ერთ პლაკატად გამოცემა და საქართველოს დედაქალაქის, სამხარეო ცენტრებისა და მუნიციპალიტეტების მუზეუმებსა, საგამოფენო სივრცეებსა და სხვა კულტურულ – საგანმანათლებლო დარბაზებში გამოფენა.

წყაროები და პროექტის მონაწილეები

პროექტის მთავარი წყაროა ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური, რომელსაც გენერალ-მაიორი

კობა კობალაძე უძღვება და, რა თქმა უნდა, საქართველოს მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მასალები, რომელიც ახლა დამუშავების სტადიაშია.

პროექტის სამეცნიერო კონსულტაციასა და საორგანიზაციო საქმეების განხორციელებაში დაგვეხმარებიან მეცნიერების სხვადასხვა დარგისა და ფართო საზოგადოების წარმომადგენლები.


პროექტს გაეცნენ და თანადგომას გვიცხადებენ ჩვენი ქვეყნის უძველესი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, მისი გამომცემელი და მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულაძე, რედაქტორის მოადგილე მამუკა ვაშაკიძე; პროექტს გაეცნენ და დადებითად აფასებენ საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლაშა ნაღარეიშვილი, საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის თავმჯდომარე გიორგი მამასაშვილი; ჟურნალისტები: ზაზა დავითაია, ნუგზარ რუხაძე, ჯაბა ხუბუა; დემოგრაფი და პუბლიცისტი ანზორ თოთაძე; ეკონომისტი და ილიალოგი მურმან კვარაცხელია; დეკანოზი მამა ამირანი (ამირანაშვილი); ფაბრის აკადემიის პრეზიდენტი გიკა კვაშილაძე; ქიმიკი დედოფლის საზოგადოების თავმჯდომარე თამარ ფარეუკიძე; საქართველოს საგარეო ურთიერთობების – „გვარი და გვარისმეცნიერება“ გამომცემის თავმჯდომარე ვაჟა ნადირაშვილი... იმედია, წინამდებარე პროექტს სათანადოდ გამოეხმაურება საზოგადოებრივი მაუწყებელი და სხვა ტელეკომპანიები. შემოქმედებითი ჯგუფის სახელები ცალკე გამოქვეყნდება.

განხორციელების გზები და საშუალებანი

ომისა და მშვიდობის წლებისმიერი პროექტის განხორციელებაში მონაწილეობა მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. ასეთ ვითარებაში 100-წლოვანთა – ცოცხალთა თუ ან გარდაცვლილთა და მათი ოჯახის წევრთა მიმართ პატივისცემითა და სიყვარულით დანებული დიპლომატი, კვლევა-ძიების შემსახიფტო მეთოდი უთუოდ სასურველ შედეგამდე მიგვიყვანს.

მთავარი საქმეა 100-წლოვანთა დაბადების მონუმენტის, პირადობის მონუმენტის (პასპორტის), ახალგაზრდობისა და მოხუცებულობის დროის პორტრეტების, სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტების მოძიება, ასლების ხარისხიანად გადაღება და საგამომცემლო-საორგანიზაციო ცენტრში ელექტრონული ფოსტით გაგზავნა.

ასევე აუცილებელია, ვიცოდეთ თითოეული გმირის ოჯახისათვის კარგად ცნობილი, მაგრამ ფართო საზოგადოებისათვის უცნობი ან ნაკლებად ცნობილი მასალები. ასეთი შეიძლება იყოს: არქივის მიერ გაცემული საბუთი, სანარმოს (დანესტრების) დახასიათება, ჯანმრთელობის ცნობა, დაჯილდოების ფურცელი, საგანგებო შემთხვევით, სამკურთხელო ბარათი, საქმიანი წერილი, წიგნიდან ამონარიდი ტექსტი, მხარეთმცოდნეობის თუ სხვა ტიპის მუზეუმში გამოფენილი ან ფონდში დაცული ნახატი, სურათი, მეგობრული ნივთი (ასლები), რომლებიც აქამდე აღამიანთა ვინაო წრეში იყო დამოკიდებული. ახლა კი დადგა დრო მათი გამოძიებისა...



გვანამაია, საქართველოს ლაშქარის პირველი პარტიზანი, მკვლევარი, თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის მფლობელი.

საპროექტო საშუალებანი: ტელეფონი 593-512-747; ელფოსტა: giorgiunion@gmail.com



სოფელ შილაში სალოტბარო სოფლა გაიხსნა

პანკისში, ქვეყნის მუნიციპალიტეტში, სოფელ შილაში ქვეყნის მასშტაბით 44-ე სალოტბარო სკოლა გაიხსნა.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის ინფორმაციით, სკოლა შილდის კულტურის სახლში განთავსდება. მოსწავლეებს ქართულ მრავალმხიანობას ლოტბარი, ან-სამბო „შილადა“ წვერი ავთანდილ (ბაჩანა) კაკონაშვილი, ხოლო ტრადიციულ გალობას რევეტი ქეთევან სამხარაძე შეასწავლის.

„შილადა თავისი ისტორიით, არის სიმღერის საფანე, გამოჩენილი ადგილი, სადაც ტრადიციულად დიდი სასიმღერო კულტურა იყო. სიმღერა გალობის გარეშე და გალობა სიმღერის გარეშე არ შეიძლება, ამიტომ ჩვენ, თუ გვინდა მაღალი ხარისხის მივიღოთ, ორივე უნდა ისწავლებოდეს.“

ფოლკლორის ცენტრის კახეთში დიდი გვერდები გვაქვს და მინდა წარმატება ვუსურვო ყველას.

მადლობა ლოტბარის პრომისთვის, რაც ქართული სიმღერისთვის უკვე გაიღო. მადლობა ძმებ ბიძინაშვილებს ამ დიდებულ მხარეში კახური სიმღერის აღდგენა – განვითარებისთვის. მადლობა მშობლებს – დედს, რომ მშობელი გადამწყვეტია, შვილი მიიყვანოს სიმღერასა და გალობაზე, არის გმირი, – განაცხადა ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის აღმასრულებელმა დირექტორმა **გიორგიმონაძემ** შილაში, სალოტბარო სკოლის გახსნაზე.

ამჟამად, ფოლკლორის ცენტრის 44 სალოტბარო სკოლა მოქმედებს საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტსა და სოფელში, სადაც 2000-მდე სხვადასხვა ასაკის მოსწავლე ქართულ მრავალმხიანობას, ტრადიციულ გალობას, გეგირსტყვიერებას და ქორეოგრაფიას სრულიად უსასყიდლოდ ეუფლებიან.

ლონდონის ფიგნის ბაზრობაზე საქართველოს ეროვნული სტანდის წარმომადგენელი

საქართველოს მწერალთა სახლმა ლონდონის წიგნის ბაზრობაზე ეროვნული სტენდი წარმოადგინა.

ლიტერატურულ ნაწილთან ერთად, პროგრამა ითვლისწინებს შემოქმედებით აქტივობასაც. გაიმართა დოკუმენტური ფილმის ჩვენება. ფესტივალის ფარგლებში, უკვე შედგა დავით მაზიაშვილის წიგნის პრეზენტაცია, რომელიც მარიამ ალექსიძის ქორეოგრაფიას ეძღვნება. პარალელურად, წარმოდგენა გაიმართა ალექსიძის საბალეტო დასმაც.

ზენოლის ქვეშ პუტინი კი არა, ტრამპი იყოფება!..



**დონალდ ტრამპის წინაშე დილაზე
გაჩნდა: თუ იგი ვერ შეძლებს იმას,
რომ პუტინი მოლაპარაკების
მაგიდასთან მიიყვანოს, გაშინდის
დაპირება ომის სწრაფ დასრულებაზე
საკუთარ კარში პოლიტიკური
გოლის გატანად გადამწყვეტად.**

(მომთხმე გიორგი ბერიძე)

საქსელის შეწყვეტა უნდა

უზრუნველყოს ტრამპმა და არა პუტინმა

უკრაინაში ცეცხლის შესაძლო შეწყვეტასთან დაკავშირებული ეგიფორია ნაადრევია. იმ დროს, როცა აშშ-ს სიტუაციის სწრაფი დარეგულირების იმედი აქვს, რუსეთის ხელმძღვანელობა აჩვენებს, რომ როცა საქმე უკრაინის ეხება, მას თავისი წესების კარნახი თვითონ სურს. „რუსეთის პოზიციის ფორმირება საზღვარგარეთ კი არ ხდება რომელიმე მხარეთა რაღაც მოლაპარაკებების შედეგად, არამედ რუსეთის შევით, რუსეთის ხელისუფლების მიერ“, – აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ამრიგად, რეალური ზენოლა ვლადიმერ პუტინზე კი არ ხორციელდება, არამედ დონალდ ტრამპზე. წინასაარჩევნო კამპანიის დროს აშშ-ის პრეზიდენტი ამომრჩეველებს რუსეთ-უკრაინის ომის სწრაფ დამთავრებას პირდებოდა ცეცხლის შეწყვეტის თავის გეგმით და, როგორც ჩანს, მან შეძ

ლო ვოლოდიმერ ზელენსკის გადაბირება, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს, თუ პუტინი ტრამპ-ზელენსკის შეთანხმების პირობებს არ შეასრულებს?


დონალდ ტრამპის წინაშე დილაზე გაჩნდა: თუ იგი ვერ შეძლებს იმას, რომ ვლადიმერ პუტინი მოლაპარაკების მაგიდასთან მიიყვანოს, მაშინ მისი დაპირება ომის სწრაფ დასრულებაზე საკუთარ კარში პოლიტიკური გოლის გატანად გადაიქცევა. კრემლი არ არის დაინტერესებული ნახევარზომებით, რომელთა შესრულება ათწლეულები გაჭიანურდება. რუსი დიპლომატებმა უკვე მიანიშნეს, რომ მათ არ აწყობთ არანაირი „დროებითი შეთანხმებები“ და რომ მათ სურთ ისეთი „ხელშეკრულება“ დაიდოს, რომლის შესრულება სავალდებულო იქნება საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. ამ ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს რუსეთის ინტერესების დაცვა არა დროებით, არამედ გრძელვადიანი პერსპექტივით. არადა, კრემლის ასეთი პოზიციის დონალდ ტრამპი ჩიხში შეჰყავს.

რა ბერკეტები აქვს ტრამპს პუტინის წინააღმდეგ?

საპოტინი იმაში არაა, დაუთმოს თუ არა ვლადიმერ პუტინი, არამედ იმაში, საგმარისი აქვს თუ არა ტრამპს ისეთი შესაძლებლობები და ისეთი ზეგავლენები, რომ რუსეთზე ზენოლა მოახდინოს? რის გაკეთება შეუძლია ვაშინგტონს მოსკოვის დასაბრუნებლად ცეცხლის სწრაფი შეწყვეტის თაობაზე – დამატებითი ეკონომიკურ-ფინანსური სანქციების გამოცხადება? უკრაინისათვის სამხედრო დახმარების გაფართოება? იქმნება შთაბეჭდილება, რომ ცეცხლის შეწყვეტა სამშვიდობო პროცესის დაწყებას კი არა, შეიძლება უფრო უარესს – ახალი პოლიტიკური დრამის დაწყებას ნიშნავდეს.

მიმდინარე სიტუაცია უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით გვეჩვენება. სანამ მთელი მსოფლიო უკრაინაში სისხლისღვრის შეჩერებას ელოდება, დონალდ ტრამპს, სავარაუდოდ, მოუწევს თავისი პოლიტიკური ინსტრუმენტების არსენალი გააფართოოს. სხვანაირად მისი – დაპირებები ცარიელ სიტყვებად გადაიქცევა. ვლადიმერ პუტინს კი შეუძლია საკუთარ თავს მოლოდინის ნება მისცეს და მოვლენების განვითარებას დააკვირდეს.

მოამზავე
სიმონ კილაძე



პაპისტანში მატარებლის 30 გაბატონებული მოკლეს და 190 ადამიანი გადაარჩინეს

პაპისტანში მატარებლის დროს მატარებლის 30 გაბატონებული მოკლეს და 190 ადამიანი გადაარჩინეს. პაპისტანის მედიის თანახმად, ზელუჯისტანის რეგიონში სპეცოპერაცია გრძელდება. თავდასხმის ადგილიდან გამოყვანილი 190 ადამიანიდან 37 დაშავებულია. პაპისტანის მედია წერს, რომ მატარებლის გამტაცებლები კონტაქტზე არიან მათ მხარდამჭერებთან ავღანეთში. გრძელდება ინფორმაცია, რომ თვითმკვლელობით ტერორისტებმა სამ ადგილას მძევლად აიყვანეს ქალები და ბავშვები.

დაღუპულია მატარებლის მძღოლი და უსაფრთხოების სამსახურის რვა თანამშრომელი. თავდასხმაზე პასუხისმგებლობა „ზელუჯისტანის გათავისუფლების არმიამ“ აიღო. გატაცების დროს მატარებელში 450-მდე მგზავრი იმყოფებოდა.

იმახანელი „ჰუსიბები“ ისრაელის გაგზავნა ემუქრებიან

იმახანელი „ჰუსიბები“ ცხადებენ, რომ ნითელ ზღვასა და ადენის ყურეში ისრაელის ნებისმიერი გემი მათი სამიზნე გახდება. „ჰუსიბების“ დაჯგუფებას ოთხდღიანი ვალაშქონდა დაწესებული ისრაელისთვის და ითხოვდნენ ლაზის სექტორში ჰუმანიტარული დახმარების აღდგენას. 2023 წლის ოქტომბერში ლაზის სექტორში ისრაელის სამხედრო ოპერაციის დაწყების შემდეგ, იმავე წლის ნოემბრიდან იემენელმა მებრძოლებმა, პალესტინელების სოლიდარობის მოტივით, საერთაშორისო საზღვაოსნო მარშრუტზე მოძრავ გემებზე 100-ზე მეტი თავდასხმა განახორციელეს. ამ დროის განმავლობაში „ჰუსიბებმა“ ორი გემი ჩაძირეს და ერთი ხომალდი შეიპყრეს. იემენელი მებრძოლების თავდასხმების გამო კომპანიებმა ტვირთების გადატანა აფრიკის შემოღობილი დაიწყეს, რაც უფრო შორი და უფრო ძვირი მარშრუტია.

ამერიკა ტაივანს არ და ვერ დათმობს!

ჩნდება კითხვა:

ტრამპმა რომ

ჩინეთთან ტაივანის


შესახებ კარგი

ხელშეკრულება

დადოს და გაყიდოს

ტაივანი, მაშინ

რა უნდა შენათ?



პანამის, პანამის, მემსიკისა და ჰერაინის მაგალითებზე, მთელმა მსოფლიომ დაინახა ტრამპის საგარეო პოლიტიკის სტილი, რომლის გასატარებლად ის, პირითაა, ეკონომიკურ ბერკეტებს იყენებს. როგორც ჩანს, კონკურენტული ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოზიციის შესახებ დასაბუთებლად, ეს ყველაზე ოპტიმალური ხერხია. ტარიფების გაზრდის მექანიზმით შეუზღუდავად ქვეყნები, ბოლოს და ბოლოს, თანხმდებიან სოლზე ტრამპის შეთავაზებულ პირობებს.

მაგალითად, ტრამპი პანამის ადმინისტრაციას პანამის არხზე ამერიკული კონტროლის აღდგენით დაემუქრა. შედეგად მოლაპარაკება და პანამა დათანხმდა, თავის პორტებზე კონტროლი ჩინეთს კი არა, ამერიკას გადასცეს.

რამდენიმე დღის წინ ტრამპმა ტაივანს შეუტია. ტაივანი, მაღალ-ტექნოლოგიური ჩიპების წარმოების მიხედვით, პირველ ადგილზეა მსოფლიოში: ჩიპების პროდუქციის 70

პროცენტი ტაივანზე მოდის. ტრამპმა უკმაყოფილება გამოთქვა: მისი აზრით, რადგან ამერიკა ტაივანის უსაფრთხოებას იცავს, ტაივანი ვალდებულია, მოპოვებული სიმდიდრე ამერიკას გაუზიაროს. შესაბამისად, ტრამპმა ტაივანს ჩიპების ზოგიერთი წარმოების ამერიკაში გადატანა მოსთხოვა. უფრო მეტიც, ამერიკის პრეზიდენტმა ტაივანს ამერიკული კომპანიის Intel-ის გაკოტრებისგან გადარჩენა მოსთხოვა, რომელიც და-

უყოვნებელ ინვესტიციებს საჭიროებს. შეგახსენებთ, Intel-ი მიკროპროცესორების მწარმოებელი ამერიკული კომპანიაა, რომელიც გაკოტრების პირასაა.

მოთხოვნაზე უარის შემთხვევაში, ტრამპი ტაივანს მაღალ-ტექნოლოგიებზე 100-პროცენტური ტარიფების შემოღებითა და ტაივანის დასავაზე უარის თქმით დაემუქრა. ტაივანის შემფოთებულმა მთავრობამ აქტიურად დაიწყო ტრამპთან საერთო ენის

გამონახვა. ტაივანის ჩიპების მწარმოებელი მთავარი კომპანიის TSMC-ის ხელმძღვანელი სი-სი-ვეი პირადად შეხვდა ტრამპს. შედეგად, TSMC-ი 100 მილიარდი დოლარის ინვესტიციას განახორციელებს ამერიკაში, რითაც შეერთებულ შტატებში ჩიპების სამი სანარმო და მაღალი-ტექნოლოგიების ორი სამეცნიერო ლაბორატორია აშენდება. ეს პროექტები 40 ათასამდე ადამიანს დასაქმებს. არაფერი თქმულა იმის შესახებ, თუ რა ზედი ზედი თავად Intel-ს. ტრამპმა მაღლობა გადაუხადა TSMC-ის ხელმძღვანელობას, მაგრამ დასძინა, რომ ტაივანისთვის ტარიფების დაწესება ჯერ არ გადაუფიქრებია. ტრამპის ამ კომენტარზე ტაივანის ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ტაივანის მთავრობას ჯერ არ მიუყია თანხმობა ინვესტიციებზე.

ხელშეკრულებას საგანგებო კომისია შეაფასებს, რომ კარგად იყოს დაყული ტაივანის ეკონომიკური ინტერესები. იმავე ოფიციალურმა პირებმა ტაივანის მოსახლეობა დაამშვიდა, რომ ვაშინგტონში დადებული ხელშეკრულების მიხედვით, მაღალი-ტექნოლოგიების მწარმოებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ქარხნები ტაივანში დარჩება.

უკანასკნელ ათწლეულებში, ტაივანი მაღალი ტექნოლოგიების მწარმოებელ მსოფლიო დონის პაბლ გადაიქცა, და ამ სტატუსის დაკარგვა ქვეყნისთვის, კატასტროფას ნიშნავს. ტაივანის პოლიტიკური ელიტა habs silicon shield-ს ანუ სილიკონის ფარს უწოდებს. მათი აზ-

რით, ეს ფარი ტაივანს ჩინეთის შესაძლო აგრესიისგან დაცავს, რადგან ჩინეთსაც სჭირდება ტაივანური ჩიპები. ტაივანის მიმართ აგრესია კი, ტაივანის ეკონომიკასაც გაანადგურებს და ჩინეთისასაც. მეორე მხრივ, ამერიკის ეკონომიკაც დიდადაა მოკიდებული ტაივანში წარმოებულ ჩიპებზე, და ეს ტექნოლოგიები ჩინეთის ხელში რომ არ აღმოჩნდეს, ამერიკა უფრო მეტად იქნება დაინტერესებული, ტაივანის უსაფრთხოება უზრუნველყოს. როგორც ჩანს, ტრამპს ტაივანის სილიკონის ფარის დაშლა სურს. მისი საბოლოო მიზანი ტაივანის მაღალტექნოლოგიური პაბის ამერიკაში გადატანაა. ტაივანის მასშვიდამ საკითხზე ასეთი კომენტარი გააკეთა: შეხედეთ, ტრამპი რას უშვრება უკრაინას. ჩვენც ასე მოგვექცევა. ტრამპი მუდმივად იმეორებს, რომ კარგი გარიგებები უყვარს. ამიტომ ჩნდება კითხვა: ტრამპმა რამდენიმე დღის წინ ტრამპმა ტაივანს დაუპირისუქა. რამდენიმე დღის წინ ტრამპმა ტაივანს დაუპირისუქა. რამდენიმე დღის წინ ტრამპმა ტაივანს დაუპირისუქა.

ამ დამაფიქრებელ ემოციურ კომენტარს ტაივანის მთავრობამ და ამერიკელმა დიპლომატებმა ერთნაირი პასუხი გასცეს: მათ ტაივანის მოსახლეობა დაამშვიდეს და განაცხადეს, რომ კუნძული გეოლოგიური კუთრად ძალიან მნიშვნელოვანია ამერიკისთვის. ამიტომ ამერიკა ტაივანს არასოდეს არ მიატოვებს!..

ნუზბარ (ბ)
რუხაძე,
POSTV.






სწორედ ესაა ვაჟაკაცობა და პატრიოტიზმი!

...მოპარდნოლქტიქიასთან მამაცურად ბრძოლისთვის, ასაკოვან და უმწეო ადამიანებზე ზრუნვისთვის, სოფელში ჩემს ოჯახზე გამოჩენილი ყურადღებისთვის, დიდი მადლობა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ **დავით შარაშიძე**ს, ჩო-

ხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ **ირაკლი შაყაბას**ს, სოფელ ხიდისთავის საკრებულოს თავმჯდომარეს **ზურაბ მათითაიშვილს**, მოადგილეს – **პახაიძე ხარულაშვილს** და საკრებულოს ყველა თანამშრომელს.



დავით შარაშიძე



ირაკლი შაყაბა

დღისით და ღამით თქვენი გვერდში დგომა იყო სტემული 2 მეტრამდე თოვლში ჩარჩენილი ქალების, ბავშვებისა და მოხუცებისთვის. ესაა ვაჟაკაცობა და პატრიოტიზმი.

**წარმატებას
ბისურვებით!
ირანდა
კალანდაძე**

ინოვაციური პროექტი ხელნაწერთა მკვლევართა ცენტრი

კორნელი შაველიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს სტუმრად ეწვია გრაფის კარლ ფრანკენის უნივერსიტეტის ხელნაწერთა და სპეციალური კოლექციის დეპარტამენტის სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორი ერის რენკარტი.


ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინფორმაციით, ვიზიტი შედგა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეც-

ნის, შესწავლას, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია მცირე მოცულობის სასულიერო თუ საერო დარგების ტექსტებმა.

გრაფიკული ხელნაწერი წიგნების შესწავლაში მონაწილეობენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები: ლელა პათირიშვილი – პროექტის ხელმძღვანელი, ფილოლოგი, კოდიკოლოგი და ტექსტოლოგი; მორენა თავაძე – კოორდინატორი, კონსერვაციისა და რესტავრაციის მეცნიერი თანამშრომელი, პრაქტიკოსი რესტავრატორი,

ნესტან ჩხიკვაძე – ფილოლოგი, კოდიკოლოგი და ტექსტოლოგი, მანუჩარ გუნეაძე – მონაცემთა ბაზების სპეციალისტი.

ინოვაციური პროექტის საფუძველზე ჩატარებული გ რ ა ნ ი ლ ი ხელნაწერების



ნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის – „გრაფიკული ხელნაწერების ინტერდისციპლინური კვლევა“ – ფარგლებში. პროფესორი ერის რენკარტი პროექტის სამეცნიერო კონსულტანტია.

პროექტი გულისხმობს საქართველოს სიძველეთადაცვებში, კერძოდ, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, საქართველოს ეროვნულ არქივსა და ქუთაისში დაცული ხელნაწერი გრაფიკების, როგორც ხელნაწერი წიგნის ერთ-ერთი ფორ-

მისი, შესწავლას, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწია მცირე მოცულობის სასულიერო თუ საერო დარგების ტექსტებმა. გრაფიკული ხელნაწერი წიგნების შესწავლაში მონაწილეობენ მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები: ლელა პათირიშვილი – პროექტის ხელმძღვანელი, ფილოლოგი, კოდიკოლოგი და ტექსტოლოგი; მორენა თავაძე – კოორდინატორი, კონსერვაციისა და რესტავრაციის მეცნიერი თანამშრომელი, პრაქტიკოსი რესტავრატორი,

დიდგარსვის მშობე უზიდული წმიდა ბრიგოლ კალაპა

16 მარტს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს უდიდეს ღვთისმეტყველს, ქრისტიანული ანთროპოლოგიის სფეროს ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწეს გრიგოლ პალამას, თესალონიკელ მთავარეპისკოპოსს.

გრიგოლ პალამამ ოცი წლის ასაკში დაიწყო მოღვაწეობა, ვათოპედიის მონასტერში. მისი მოღვაწეობა ისეთი წმინდანების რანგში გადის, როგორიცაა წმინდა მასილი დიდი, იოანე ოქროპირი, ათანასე დიდი და სხვა სწავლულები.

ალსანიშნავია ის, რომ მას დიდი ღვაწლი მიუძღვის ყველასთვის წმინდა და სილამაზით განთქმულ ათონის მთის კეთილმოწყობაში...

განურჩევლად ყოველი ქრისტიანის, დიდის თუ პატარის ვალდია, დაუდუმებლად ლოცულობდეს სული-

ერი ლოცვით: „უფალო, იესო ქრისტე, შემიწყალე მე“!

მოუკლებელი ლოცვა გონებით აღესრულებს; ამას კი, თუ მოვისურ-



ვებთ, ყოველთვის შევძლებთ, რადგანაც ხელსაქმეს მივუხსნებით, დავდივართ, ვჭამთ თუ ვსვამთ, ყოველთვის შეგვიძლია გონებით ვილოცოთ და ვეწმნათ ღმრთისთვის სათნო სულიერი ლოცვა. ჭეშმარიტი ლოცვა.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ბრძანებს: „დიდგარსვის ძალიან ხშირად ჩვენ ვუწოდებთ მარ-

ხვას სინანულისას, როცა ადამიანი უკეთესად ხედავს თავის სულს, თავის ნაკულს. ეს მარხვა მოგვიწოდებს იმისკენ, რომ დავინახოთ ცოდვა ჩვენი და არ განვიკითხოთ ძმა ჩვენი“.

გიული ლიპარტია

«უორდროპები და საქართველო»

11 მარტს საქართველოს ხელოვნების სასახლე-კულტურის ისტორიის მუზეუმის სამეცნიერო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა აღინიშნა. საგამომცემლო სახლის „სეზანის“ მხარდაჭერით დაგეგმილი გიორგი კალანდაშვილის „უორდროპები და საქართველო“ პრეზენტაცია, ლონდონში – სამეფო აზიური საზოგადოების მთავარ დარბაზში გაიმართა.

შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა საზოგადოების პრეზიდენტი რობერტ პიბოლმა. აქვე საქართველოსა და ბრიტანეთს შო-

რის შეტანილი განსაკუთრებული სამეცნიერო წვლილისათვის ვერცხლის მოთქმული მედლით დაჯილდოვდა სამეფო აზიური საზოგადოების დირექტორი ალისონ ოტა.

ასევე გაიმართა უორდროპებისადმი მიძღვნილი ფილმის ჩვენება. ღონისძიება კულტურის სამინისტროსა და მწერალთა სახლის მხარდაჭერით ჩატარდა. საქართველოს სამეფო აზიური საზოგადოება უკვე ერთი წელია არსებობს და ის ინგლისისა და საქართველოს სამეცნიერო წრეებს შორის ურთიერთობების გაღრმავებას ემსახურება.



უზა საუკუნეების დროინდელი მკვლევართა ბეჭედი იპოვა!

68 წლის წინააღმდეგ გასულმა მკვლევარმა მარკ სელმა, რომელიც ამჟამად განძის მაძიებელია, ნორფოლკში იმეფობს უზა საუკუნეების დროინდელი ეპისკოპოსის ბეჭედი იპოვა, რომელსაც 18 ათას გირვანქა სტერლინგად გაყიდეს. ინფორმაციას BBC-ი ავრცელებს.

ნაპოვნ XII-XIII საუკუნეების ოქროს ბეჭედს საფირონის, ზურმუხ-

ტის და გრანიტის თვლები აქვს.

მარკ სელის თქმით, ის გაოგნებული იყო, როდესაც ტალახში მგრძნეიანი ნივთი შენიშნა. მან ასევე აღნიშნა, რომ ამ ადგილებში არაერთხელ იყო ნაპოვნი, თუმცა არასდროს არაფერი უპოვია. მან ბეჭედს მეტალო დეტექტორის მეშვეობით მიაგნო.

მამაკაცმა აღმოჩენის შესახებ მინის მფლობელს შეატყობინა. ბეჭედი საგრაფოში ნაპოვნი ნივთების ინსპექტორს გადასცეს. რელიკვია დროებით ბრიტანეთის მუზეუმში გადაიტანეს, რის შემდეგაც აუქციონზე გატანა გადაწყვიტეს, რომელიც 26 მარტს გაიმართება. განძის მაძიებელი მარკ სელი შემოსულ თანხას იმ მიზნის მფლობელთან გაიყიფს, სადაც XII-XIII საუკუნეების უიშვიანის ოქროს ბეჭედს მიაგნო.



საქართველო კრიტიკული

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
სპარტაკ მკობულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა მახაშიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
ალექო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდანი მკობულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტი-კორექტორები:
ნაირა კვეკელია, მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:
თბილისი, აკაკი წერეთლის N116

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი და მომსახურება
დაქალაქდაცემლობის
თავმჯდომარის
პრინციპით. დაქალაქის მერს,
შესაძლოა, დაქალაქის მერს
ამტორთა მოსახრება.

ფაქსი: 070.4(479.22) C-323
გაზეთის მფლობელი:
სააგრომომსახურებო
დაცემლობა. დაქალაქის
თავმჯდომარის
მისამართი:
გაზეთის მფლობელი
მისამართი:
გაზეთის მფლობელი

იბეჭდება სტამბა
„ქოლოში“
ე. ბაღდაძის №3

„კოდორი“
ჭაჭი

uac(უაკ)070.4(479.22) C-323



რეკლამისთვის
დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნაგავიდან დაგზავნა
ჩართვის მფლობელი:
GE90BG000000538329790

გაზეთის
მომსახურე
ნომერი გამოვა
ორშაბათს, 17 მარტს